# თავისუფალი საქართველო

№6

27 თებერვალი-4 მარტი

1996 წ.

ფასი 20 თეთრი

WEEKLY NEWSPAPER TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA)

# მიწის დაგვიანებული ძახილი

## პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ძალთა დაპირისპირების ხაზი ქართულ მიწაზე გადის

უკანასკნელი მოვლენები: საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნით, საქართველოს პარლამენტმა ნაჩქარევად მიიღო კანონი მიწის საკუთრებისა და გაყიდვის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველო ვერ მიიღებდა მისთვის განკუთვნილ კრედიტს. ამთავითვე ცხადია - კრედიტი მოხმარდება მხოლოდ ამჟამინდელი რეჟიმის არსებობის გახანგრძლივებას, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს პირობა თავისთავად იგულისხმება დღეისათვის ჩამოყალიბებულ საერთაშორისო ურთიერთობებში: ვის რაში სჭირდება აქ ისეთი არამართვადი მმართველობა, რომელიც იქით დაგისვამს პირობებს.

* * *

მთავარი კითხვა, რომელიც აღელვებს დღეს ყველას - ვინ იქნება საქართველოში მიწის მფლობელი? შეთანხმება მიღწეულია ერთ საკითხში, რომ ლატიფუნდიებს დაეპატრონება და კიდეც უნდა დაეპატრონოს მდიდართა ფენა, მაგრამ სადაური იქნება ეს მემამულე?..

ოფიციოზი და მისი პროპაგანდისტები ყოველმხრივ ცდილობენ ისე წარმოაჩინონ ვითარება, თითქოს ეს პრობლემა ხელოვნურადაა შექმნილი და საზოგადოების შეშფოთებას არვითარი საფუძველი არ გააჩნია; თითქოს მიწის გაყიდვის დაკანონების წინააღმდეგ გამოდიან სოციალისტური იდეოლოგიის ტყვეობაში დარჩენილი პოლიტიკოსები და ულტრანაციონალისტები, თითქმის რასისტები, რომელთაც ვერ გაუგიათ, რომ სწორედ მიწაზე კერძო საკუთრების დაკანონებით მოხდება სოციალური და ეთნიკური პროცესების დარეგულირება.

ეს არ არის ახალი თეორია, მას თავისი წინაისტორია აქვს: ჯერ კიდევ პუტჩის წინა პერიოდში, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებათა შორის ერთ-ერთი მთავარი სწორედ მიწის კანონის მიუღებლობა იყო, რის გამოც "დემოკრატიული ოპოზიცია" იმხანად ხაზს უსვამდა დასავლეთის წამყვან სახელმწიფოთა საქართველოსადმი უნდობლობის ფაქტორს. პრეზიდენტის მაშინდელმა კონტრარგუმენტმა, რომელსაც დღეს უკვე თითქმის მთელი ხელმოცარული პოლიტიკური სპექტრი იმეორებს და საკმაოდ თამამადაც, საბაბი მისცა "დემოკრატებს" ლამის "კუკლუს კლანში" ჩაერიცხათ იგი. მათი აზრით, პრეზიდენტი ვერ ხვდებოდა, რომ სწორედ მიწის საკუთრების დაკანონებით მოხდებოდა ეთნიკურ წინააღმდეგობათა დაძლევა. მოგვიანებით, ქართული რევოლუციის ერთ-ერთმა წამყვანმა მოაზრემ, ჯაბა იოსელიანმა მიწის საკუთრების შესახებ კანონის მიღება ქართულ-ოსური პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთ გზად მიიჩნია.

მაგრამ მაშინაც და დღესაც შეგნებულად ხდებოდა აქცენტების გადაადგილება: არასოდეს ყოფილა სადავო თავად მიწის საკუთრების დაკანონების საკითხი. სადავო იყო მხოლოდ მისი გაყიდვის უფლების ნორმა და დღის წესრიგში უკვე მაშინვე იდგა ამ პრობლემის დარეგულირების მექანიზმის შემუშავება. სხვათა შორის, რიგ ევროპულ ქვეყნებში, სადაც ასევე დგას მცირემიწიანობის პრობლემა, მაგალითად, ჰოლანდიაში, მოქმედებს მიწაზე კერძო საკუთრების შემზღუდველი სამართლებრივი მექანიზმები: მიწაზე კერძო საკუთრება და მისი გაყიდვა აკრძალული, ცხადია, არ არის - აკრძალვის ნორმა საკუთრებასთან მიმართებაში საერთოდ უცხოა ევროპული მენტალიტეტისათვის; მაგრამ შემუშავებულია ისეთი საგადასახადო სისტემა, როდესაც მიწის იჯარით აღება და დამუშავება გაცილებით უფრო მომგებიანია მატერიალურად, ვიდრე მისი ყიდვა-გაყიდვა ან არასამეურნეო მიზნებისთვის გამოყენება და პრიორიტეტიც ადგილობრივი მკვიდრის, მიწის მეურნის სასარგებლოდ იხრება.

არც ერთი თავმოყვარე და ბრძენი ხელისუფლება, არც ერთ ქვეყანაში არ დაუშვებს ზოგადად საკუთრებისა და, მით უფრო, მიწის საკუთრების საკითხის ნაჩქარევ გადაწყვეტას, თანაც სხვისი კარნახით. მით უმეტეს, როდესაც საქმე ეხება ისეთ სპეციფიკურ ვითარებაში ჩამოყალიბებულ ქვეყნებს, როგორიცაა პოსტსაბჭოური რესპუბლიკები.

1991 წელს საქართველო საერთაშორისო დონეზე ჯერ კიდევ საბჭოთა რესპუბლიკად ითვლებოდა, ათეული წლების განმავლობაში დამკვიდრებული სახელმწიფო საკუთრების ცენტრალიზებული სისტემით, რომელიც არათუ მაშინ, არამედ დღესაც არ არის დაშლილი; ხალხის უზარმაზარი მასით, რომელიც არ ფლობს მიწით სარგებლობის არანაირ საშუალებას და, რაც მთავარია, მწარე ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, არა აქვს გარანტია იმისა, რომ ეს მიწა საბოლოოდ დარჩება მის შთამომავლობას. და მესამე ფაქტორი: ქვეყანაში იმხანად ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული მიწის კერძო მეურნის შრომის დამცავი შესაბამისი ინფრასტრუქტურა. ყველაფერი, რაც დასავლეთის სახელმწიფოებში ემსახურება ამ სფეროს - საბანკო სისტემა, პროდუქციის გასაღების ბაზარი, მიწაზე მოწეული პროდუქციის გასაღებისა და გადამუშავების ალტერნატიული მექანიზმები.

უკვე იმხანად ნათლად გამოჩნდა, რომ საქართველოს პროდემოკრატიულ ინტელიგენციას მიწის საკუთრებისა და, საერთოდ, კერძო საკუთრების დამკვიდრება წარმოედგინა გაწყობილ სუფრაზე თამადად დანიშვნის რიტუალად. მათ არც მაშინ ესმოდათ და არც ახლა ესმით, რომ იმ საოცნებო დასავლურ ქვეყნებში კერძო საკუთრების, ქონების ფლობისა და მისგან მოწეული წარმოებითი პოტენციალის სტაბილურობა რთული სამართლებრივი და სახელმწიფოებრივი მექანიზმით რეგულირებული სისტემითაა უზრუნველყოფილი და ამიტომაა მომგებიანი, ასე ვთქვათ, რენტაბელური სახელმწიფოსთვის. ამასთან, ეს მექანიზმები მუდმივად იხვეწებოდა საუკუნეების და არა წლების განმავლობაში.

საქართველოში პროცესი ფერხდებოდა არა პრეზიდენტის ან უზენაესი საბჭოს პროსოციალისტური, ან ნაციონალისტური ორიენტაციის გამო (ან კი ფერხდებოდა საერთოდ?). ამ ეტაპზე, ცხადია, ჩვენ არ დაგვჭირდებოდა საუკუნეები მსგავსი სისტემის ჩამოყალიბებისთვის, მაგრამ დრო მაინც საჭირო იყო ქვეყნის გეგმაზომიერი, ურთიერთშეთანხმებული განვითარებისთვის და ეს სწორედ გარდამავალი პერიოდის პროგრამით იყო გათვალისწინებული.

* * *

გავიდა ოთხი წელიწადი და მიწის კანონის მიღება მხოლოდ ახლა მოხდა (მაშასადამე, დრო კიდევ ითმენდა?!), ხოლო ინფრასტრუქტურა დღესაც არ შექმნილა და ისიც კი განადგურდა, რაც მაშინ არსებობდა. რაც მთავარია, ქართველი ადამიანისთვის აღარ არსებობს საქართველოს ტერიტორიის თითქმის მეოთხედი, დარჩენილი ნაწილის ერთ მესამედს ქართველი აღარ ფლობს, ხოლო სადაც ფლობს, იქ მოსახლეობის უმრავლესობა იმდენად გაჩანაგებულია, რომ, საეჭვოა, შეძლოს მიწის შენარჩუნება.

**ასეთ ვითარებაში ამ კანონის მიღება დაგვაკარგვინებს არა მხოლოდ ქვეყანას, არამედ მისი ფლობის სამართლებრივ უფლებას.**

* * *

საქართველოს მმართველი ხელისუფლების ბოლოდროინდელი პოლიტიკა, ცხადია, გაგრძელებაა ამ ოთხი წლის მანძილზე დამკვიდრებული კურსის, მხოლოდ. იმ განსხვავებით, რომ ქვეყნისა და ხალხის გაჩანაგებისა და დამონების მილიტარისტული ეტაპი დამთავრდა (შესაძლოა, დროებით!). დაიწყო ახალი, საკანონმდებლო-ადმინისტრაციული დივერსიების ხანა, რომელიც იქნებ უფრო საშიშიცაა, ვინაიდან მისი საცეცები, საზოგადოებაზე ზემოქმედების მექანიზმი უფრო მჩაკვრული და მოუხელთებელია.

რაც მთავარია, ეს მექანიზმი არ არის ავტონომიური. იგი სრულ, ან მეტნაკლებ თანხმობაშია საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემასთან, რომელშიც ძლიერები ისევე ჩაგრავენ და სარგებლობენ სუსტებით, როგორც აქ, ჩვენს შიგნით. როგორც უკვე ვიცით, ვიღაცას აქვს ყველაფრის უფლება, ვიღაცას არაფრის. საქართველოს შიგნით ეს პრინციპი შევარდნაძისა და მისი კლანის სასარგებლოდ მოქმედებს, გარეპოლიტიკური თვალთახედვიდან კი - საქართველოს წინააღმდეგ.

ამიტომაც, საზოგადოება რეალურ წინააღმდეგობას უნდა უწევდეს არა იმდენად ამ თუ სხვა კანონის მიღებას, რამდენადაც თავად იმ ხელისუფლებას, რომელიც ახერხებს და მისნადაც ისახავს ნებისმიერი სამართლებ კი ნორმა ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ აამოქმედოს.

*ანა ჭავჭავაძე*

---

"ასოციაცია საფრანგეთი - საქართველო"
ჟურნალი "გუშაგი"
"ქართველ თავადაზნაურთა საკრებულო"

ულრმესი მწუხარებით იუწყებიან თავადის ასულ

**ქეთევან (მია) დადიანის გარდაცვალებას**

**ქალბატონი მია დადიანი იყო გამორჩეული ქართულ ემიგრაციაში თავისი განსწავლულობით, სილამაზით, სიდარბაისლით, სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულით და ერთგულებით.**

**საუკუნო ხსოვნა ჩვენს დაუვიწყარ მია დადიანს.**

**ოთარ ზურაბიშვილი, მედეა თუშმალიშვილი, სანდრო თუშმალიშვილი, დავით ფავლენიშვილი**

ქეთევან დადიანი დაიბადა 1914 წლის 10 ოქტომბერს საქართველოში. მამა, თავადი ნიკოლოზ დადიანი, იყო ქართული თავადაზნაურობის მარშალი. მისმა ოჯახმა საქართველო დატოვა 1921 წელს, ბოლშევიკური ოკუპაციის შედეგად. ქალბატონი ქეთევანი მთელი თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით დაკავშირებული იყო საქართველოსთან, სამშობლოდან განდევნილ თანამემამულეებთან. როგორც ღრმად მორწმუნე ქრისტიანმა, მან დიდი ამაგი დასდო პარიზის წმინდა ნინოს ქართულ ეკლესიას. 30 წლის განმავლობაში იყო საფრანგეთის ქართული სათვისტომოს გამგეობის წევრი, შემდგომ ვიცე-პრეზიდენტი და ღირსეულ თანადგომას უწევდა ქართული ემიგრაციის თავკაცს,ბატონ ლევან ზურაბიშვილს. ქ-ნ ქეთევან დადიანის პანაშვიდი შედგება 27 თებერვალს, პარიზის წმინდა ნინოს ეკლესიაში, დაკრძალვა - იმავე დღეს, ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

---

*კონსტანტინე გამსახურდია*

# ზვიად გამსახურდია

*დისიდენტი - პრეზიდენტი - მოწამე*

KONSTANTIN GAMSACHURDIA

SWIAD GAMSACHURDIA

*Dissident – Präsident – Märtyrer*

## თავი პირველი

## კავკასია -« ენების მთა»

(დასაწყისი იხ. "თავისუფალი საქართველო" № 5

საქართველო და სომხეთი თითქმის მთლიანად რუსეთის ხელში იყვნენ, როცა მაღალი მთის ხალხები კიდევ სამი ათწლეულის განმავლობაში ეწინააღმდეგებოდნენ კოლონიზატორთა მილიტარისტულ ძალაუფლებას და მათ ცდას - შეეღწიათ კავკასიის გაუვალ ხევებში.

რუსი ჯარისკაცები კი, ადგილობრივი მოსახლეობის თავდასხმების მიუხედავად,ზარბაზნების ტრანსპორტირებისთვის იძულებული იყვნენ ხრამებსა და კლდეებში გაეყვანათ გზები და ეშენებინათ ხიდები.

კავკასიელთა მიერ აგრესორთა მოგერიება მესამე იმამის, სახელგანთქმული შამილის (1797 - 1871) ხელმძღვანელობით ხორციელდებოდა. მან ახალგაზრდობაში შეისწავლა მუსლიმანური კანონები და თეოლოგია. ასევე კარგად იცნობდა მი ურიდიზმს,რაც სუფისტურ თეოსოფიასა და მისტიკას ანვითარებდა.

კავკასიის ხალხთა უმრავლესობა პატივს სცემდა შამილს და ემორჩილებოდა მის ბრძანებებს. მრავალ ადგილზე შეიქმნა დამოუკიდებელი ქვედანაყოფები, რომლებიც ერთმანეთს უკიდურესად სწრაფად და ზუსტად ფუნქციონირებადი კავშირგაბმულობის სისტემით უკავშირდებოდნენ. რუსების არც ერთი ქმედება არ გამოეპარებოდა შამილს. მზვერავები ყოველ საათში აწვდიდნენ მას ინფორმაციას მოწინააღმდეგეთა სურსათ-სანოვაგისა თუ მოცალეობის ჟამის გართობების შესახებ. ასეთი ორგანიზებულობის წყალობით, შამილს შეეძლო მოულოდნელად თავს დასხმოდა აგრესორებს და ,თავის მეომართა მცირე დანაკლისით ,მნიშვნელოვანი ზარალი მიეყენებინა მათთვის. დასავლეთ ევროპაში მას სტრატეგიული უნარის მიხედვით ნაპოლეონ ბონაპარტს ადარებდნენ. მხოლოდ 1859 წელს შეძლეს ზარბაზნებით შეიარაღებულმა რუსებმა ხანგრძლივი, სისხლისმღვრელი ბრძოლების შედეგად გაენადგურებინათ კავკასიელთა ციხე-სიმაგრეები და შეეპყროთ დიდი სარდალი.

კეთილშობილი შამილი ჩრდილოეთში წაიყვანეს. პეტერბურგში ის დიდი პატივით მიიღეს, მისცეს მშვენიერი სახლი მსახურებითურთ, სადაც უფლება ჰქონდა წლების განმავლობაში თავისი ოჯახით ეცხოვრა. როგორც მორწმუნეს, მექაში გამგზავრება აკრძალული არ ჰქონდა, მაგრამ გზაზე გარდაუვალი სიკვდილი ელოდა.

შამილის წინააღმდეგ წარმოებულ ომში აღმოსავლეთ საქართველოს თავად- აზნაურები რუსეთის მხარეზე იბრძოდნენ. შამილმა მათ მრავალგზის შეახსენა წერილობით, რომ ისინი საკუთარ მტერს უწევდნენ სამსახურს, მაგრამ მისი მოწოდებები



რჩებოდა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. ამის შესახებ წერდა ლესლი ბლანში თავის წიგნში "The Sabres of the Paradise" (გერმ. 1965).

შეუძლებელი იყო, რომ აღმოსავლეთ საქართველოს თავადთა ქმედების საპასუხოდ ,ჩრდილო კავკასიელებსაც წასცდენოდათ რაიმე ქართველების წინააღმდეგ, რაც არც ისე ადვილად დასავიწყებელს წარმოადგენდა.

( გაგრძელება მე-4 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 23 თებერვალს 52 წელი შესრულდა ჩეჩნებისა და ინგუშების სამშობლოდან გასახლების ოპერაციის დაწყებიდან...

# სისხლიანი წესრიგის წითელი ნოსტალგია

...მიუხედავად იმისა, რომ ყოფილმა კომუნისტებმა უკვე კარგა ხანია "ზიზღითა და გმობით" შეაქციეს ზურგი იმ ავადმოსაგონარ წლებს, დარჩა ბოლშევიკური ცხოვრების წესის მრავალი ნიშანი, რომელთაც მაინც ვერ ელევა და დასავიწყებლად ვერ იმეტებს სისასტიკესა და სიბნელეში ნაზარდი გრძნობა-გონება - ხან მაშინდელი ბელადის რკინის ხელი მოენატრება, ხანაც "ძველებური წესრიგი" და ურჩებისადმი ანგარიშსწორების წინანდელი, ნაცადი მეთოდები... და, რაც ყველაზე თვალშისაცემი და დამაფიქრებელია, ამ წითელი ნოსტალგიით შეპყრობილ ადამიანთა უმეტესობას დღეს "დემოკრატთა" სახელით იცნობს მსოფლიო. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მათ ეს სახელწოდება დედის მუცლიდან დაჰყვათ და მისი შეცვლა აღარ შეიძლება, გინდაც ხალხების სისხლში დაიხრჩონ, მთელი სამყარო მოსრან და ნაცარტუტად აქციონ, - ისინი მაინც "დემოკრატებად", "ჰუმანისტებად" რჩებიან, ხოლო არცთუ ისე შორეული, მათი მშობლიური, კომუნისტური წარსული - მათ მიერვე ტოტალიტარიზმად, ბნელეთად და სხვა ათასგვარ საშინელებად არის მონათლული.

...მოვლენები კი გასაოცრად ჰგვანან ერთმანეთს...

1944 წლის 23 თებერვალს საბჭოთა ხელისუფლებამ დაიწყო ჩეჩენ-ინგუშთა გასახლება სამშობლოდან შუა აზიაში. ეს აქცია თავისი არსითა და მასშტაბებით განსხვავდებოდა რუსეთის საბჭოთა იმპერიის მიერ ჩატარებულ სხვა რეპრესიათაგან; იგი ცალკეული "ხალხის მტრისა" და "დესტრუქციული ელემენტის" წინააღმდეგ კი არ იყო მიმართული, არამედ მთელი ერის დასჯას ისახავდა მიზნად და შემთხვევითი არაა ის ფაქტი, რომ რეპრესიები ერთნაირად შეეხო ჩეჩენი ეროვნების "ბანდიტსაც", კომკავშირელსაც და "მავნებელსაც".

ამ მოვლენიდან ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა. 1994 წლის დეკემბერში, ამჯერად "დემოკრატიულმა" რუსეთმა წამოიწყო საბრძოლო მოქმედებები ჩეჩენთა გასანადგურებლად. ქალებთან, ბავშვებთან და მოხუცებთან მეომარი ახალი დროის რაინდები, თავიანთი სულიერი მამების ღირსეული შვილები, არაფერში ჩამორჩნენ 1944 წლის აქციის მომწყობთ - არც სისასტიკეში, არც დაუნდობლობაში და არც ცინიზმში.

ჩეჩნები, სრულიად ბუნებრივად, პარალელს ავლებენ ამ მოვლენებს შორის და თვლიან, რომ რუსეთის იმპერიის არსი, გარეგნული ფერისცვალების მიუხედავად, არ შეცვლილა.

ჩეჩნეთის ომმა მრავალი უსიამოვნება მოუტანა მოსკოველ მმართველებს. ისინი ჯერ ორ საათში იქადნებოდნენ ჩეჩნეთის დამორჩილებას, მერე ორ დღეში, ორ კვირაში, ორ თვეში... ქადილი ქადილად დარჩა. უკვე ორი წელია, რაც მიმდინარეობს სისხლისმღვრელი შეტაკებები და რუსეთი არათუ მიუახლოვდა, დაშორდა კიდეც თავის ოცნებას. ჩეჩნეთის ყოველი ქალაქი, სოფელი, დასახლებული პუნქტი მტრულ ციხესიმაგრედ იქცა მოწინააღმდეგისთვის. გასეირნება არ შედგა, რუსეთში კი სულ უფრო და უფრო გაძლიერდა უკმაყოფილება ჩეჩნეთის ომის გამო. სწორედ ამიტომ, ბოლო ხანს, რუსეთის ხელისუფლებამ თავის განცხადებებში ლიბერალური ნოტები გაურია, "სამშვიდობო ვარიანტები" წარმოადგინა, ჩეჩნეთიდან ჯარების "გეგმაზომიერად" გამოყვანაზე დაიწყო საუბარი. თუმცა ამას ხელი არ შეუშლია ფედერალური ჯარებისთვის, კიდევ უფრო ბარბაროსულად დაებომბათ ჩეჩნური სოფლები.

გროზნოში მშვიდობიანი მიტინგის დარბევის შემდეგ, რუსებმა ჯერ პრეზიდენტის დანგრეული სასახლე ააფეთქეს და დაანგრიეს საბოლოოდ, როგორც "ბოროტების სიმბოლო", ხოლო შემდეგ ახალი "სამშვიდობო ოპერაცია" წამოიწყეს, რომლის შედეგად მთლიანად განადგურდა სოფელი ნოვოგროზნენსკი. მახლობლად მდებარე სოფლები - ალეროი და ცენტეროი, მასირებული საავიაციო დაბომბვის გამო, მიწასთან იქნა გასწორებული. ბოლო ხუთი დღის განმავლობაში 400-მდე ადამიანი დაიღუპა.

"ჩეჩნეთში მდგომარეობა მიმდინარე წლის მარტისათვის გაუმჯობესდება" - გვარწმუნებს ამ "წარმატებული ოპერაციებით" გულმოცემული დოკუ ზავგაევი. მას, ალბათ, იმედი რუსეთის იმ განცხადებებმა გაუჩინა, სადაც ნათქვამია, რომ ჩეჩნეთის ტერიტორიის ძირითადი ნაწილი ფედერალური ჯარების მიერ კონტროლირდება. თუმცა, უფრო გონიერნი ეჭვის თვალით უყურებენ ზავგაევის ავტორიტეტს მის მიერ "კონტროლირებად ტერიტორიაზე" და მწუხარებით დასძენენ, რომ ჩეჩენთა ახალი რაზმები გამოჩნდა შალიში, ურუს-მარტანში, შატოიში, ბამუტში...

23 თებერვალს ჩეჩენმა ხალხმა მასობრივი გამოსვლებით აღნიშნა დეპორტაციის 52-ე წლისთავი. ამ დღეს რუსებმა ქალაქში შეიყვანეს ათასობით მძიმე საბრძოლო ტექნიკა, ჩახერგეს ქუჩები. მიუხედავად ამისა, გროზნოში მაინც მოხერხდა მიტინგის ჩატარება, ხოლო ქვეყნის სამხრეთში, ყველა სოფელსა და ქალაქში გაიმართა დემონსტრაციები და მოეწყო საპროტესტო აქციები. სწორედ ამ შეკრებებზე გავრცელდა ჩეჩნეთის კანონიერი ხელისუფლების მიმართვა რუსეთის საზოგადოებრიობისადმი, რომელშიც ნათქვამია, რომ ჩეჩნეთში ომი მეტი სისასტიკით გრძელდება, არ წყდება ქალაქების და სოფლების უმოწყალო დაბომბვა. მდგომარეობის შესაძლო გართულების გამო კი მთელი პასუხისმგებლობა რუსულ მხარეს დაეკისრება.

23 თებერვლის გასახლების "იუბილე" რუსეთის ჯარებმა ინგუშ ხალხსაც მიულოცეს. დაიბომბა ინგუშური სოფელი არშტი. მშვიდობიან მოსახლეობაში არის მსხვერპლი. ამასთან დაკავშირებით, ინგუშეთის დედაქალაქ ნაზრანში ჩატარდა საპროტესტო მიტინგი, ხოლო ინგუშეთის პრეზიდენტმა - აუშევმა რუსები ინგუში ხალხის ომში ჩათრევის მცდელობაში დაადანაშაულა.

კავკასიური ომის არეალი იზრდება. რუსეთის ხელისუფლების გაავთრება საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად იმატებს. საქართველო, აზერბაიჯანი, ჩეჩნეთი, ინგუშეთი... სისხლი ღვარად მოდის კავკასიის მიწაზე... და თუ ერთი ქვეყნის "დიდი პოლიტიკოსები" მონური ქედდრეკით ხვდებიან ოკუპანტებს, სხვა "ფაშისტები" წარსულ გმირთა საარაკო შეუპოვრობით ებრძვიან მოძალადეს.

რუსები ჩქარობენ. მალე გაირკვევა, რას მოუტანს ეს სიჩქარე "მშვიდობის მაძიებელ ჰუმანისტებს..." ხოლო ჩეჩნეთის ომის ფინალი დაანახვებს ჩვენს "პრაგმატულად მოაზროვნეებსაც", თუ რა უმჯობესია: დათვის ბაბად სახელდების შევარდნაძისეული პოლიტიკა და მტრის ფეხქვეშ კოტრიალი, თუ განსაცდელის წინაშე მდგარი ერისთვის გამამხნევებელი საბრძოლო შეძახილი:

"ბამაბრალი არხოტიონნო,
ბატეხით რა იქნებისა..."

*ნუგზარ წიკლაური*

---

# 23 თებერვალი - ჩეჩნეთის დეპორტაციის დღე

## მრგვალი მაგიდის პრესკონფერენცია

23 თებერვალს საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა გაერთიანებამ "მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო" გამართა ჩეჩნეთის დეპორტაციის დღისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია. პრესკონფერენციაზე წაკითხულ იქნა საპროტესტო მიმართვები ჩეჩენი ხალხის გენოციდის და მიწის გაყიდვის კანონის წინააღმდეგ.

"მრგვალი მაგიდის" ვიცე-სპიკერმა თენგიზ კიკაჩეიშვილმა ფართოდ ისაუბრა კავკასიის რეგიონში შექმნილ მძიმე პოლიტიკურ ვითარებაზე. აღნიშნა, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობა არ იღებს რადიკალურ ზომებს, რათა შეწყდეს რუსეთის მიერ ჩეჩენი ხალხის გენოციდი. მან აგრეთვე დასძინა, რომ შევარდნაძის ხელისუფლება არათუ გმობს იმპერიის ვანდალიზმს, არამედ თანამშრომლობს კიდეც მასთან.

პრესკონფერენციაზე საუბარი იყო იმ უკანონო სასამართლო პროცესებზე, რომლებსაც არსებული ხელისუფლება უმართავს თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს. პროტესტი გამოითქვა იმის გამო, რომ სასტიკად ილახება პოლიტპატიმრების უფლებები და მათი ბედიც წინასწარ გადაწყვეტილია.

პრესკონფერენციაზე ხაზგასმულ იქნა მიწის გაყიდვის კანონის დანაშაულებრივი ხასიათი და აღინიშნა, რომ ამ კანონის მიღება საბოლოოდ დაღუპავს საქართველოს სახელმწიფოებრივ პერსპექტივას.

დასასრულ, ვიცე-სპიკერმა აღნიშნა, რომ შემდეგი პრესკონფერენცია მიეძღვნება ქართველი ერის გენოციდს.

---

# სამხედრო ტყვეები გისოსებს მიღმა

## ბადრი ზარანდიას სასამართლო ძიება 23 თებერვალს დაიწყო

ამასთან დაკავშირებით მან პროტესტი გამოთქვა და განაცხადა, რომ მისი საქმის სასამართლო ძიების დაწყება საბჭოთა არმიის შექმნის დღეს შეურაცხყოფს მისი, როგორც საქართველოს კანონიერი ეროვნული გვარდიის ოფიცრის ღირსებას. მოსამართლე ჯ. ლეონიძემ მიუგო, რომ 23 თებერვალი, საქართველოში მოქმედი კალენდრით, სამუშაო დღეა და არავითარი საფუძველი იმისა, რომ პროცესი სხვა დღეს გაეხსნათ, არ არსებობდა. საეჭვოს მის ამ პასუხს მხოლოდ ის გარემოება ხდის, რომ 23 რიცხვი პარასკევია, როდესაც უზენაეს სასამართლოში საქმის განხილვას, ჩვეულებრივ, არ იწყებენ ხოლმე.

ბადრი ზარანდიასთან ერთად, რომლის ინტერესებს იცავს ადვოკატი გ.მდინარაძე, განსასჯელთა სკამზე, გისოსებს მიღმა სხედან: ზვიად შეროზია (ადვ. ჩოჩია), გურგენ ალანია (ადვ. გ.ხითარიშვილი), გაბრიელ ბენდელიანი (ადვ. თ. ლაშაბერიძე), მურთაზ გულუა (ადვ. გუჩაძე), კარლო ჯიჭონაია (ადვ. ი. ჯღამაძე). ყველა მათგანს ძირითადად წაყენებული აქვს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლები: 65-ე - სამშობლოს ღალატი, 78-ე - ბანდიტიზმი, 104-ე - განზრახ მკვლელობა, 238-ე - იარაღის უკანონო შენახვა და ტარება. ყველა ეს მუხლი ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას.

ამასთან, არც ერთი მათგანი არ ცნობს თავს დამნაშავედ და ამ მიზეზით, მათ უარი განაცხადეს გასცნობოდნენ საბრალდებო დასკვნას. როგორც გამოირკვა, ზვიად შეროზია არც საქმის მასალებს გასცნობია, თუმცა ოქმზე ხელი მოაწერა. "ხელი ბევრ სხვა რამეზეც მაქვს მოწერილი - განუცხადა მან მოსამართლეს - წელიწად-ნახევრის პატიმრობის შემდეგ ოჯახის წევრებთან შეხვედრის საშუალება რომ მოეცათ, ხელი მოვაწერე საქმის გაცნობის ოქმს." როგორც გაირკვა, ამგვარი პრაქტიკა სხვა განსასჯელთა მიმართაც გამოიყენებოდა.

განსასჯელებმა გამოთქვეს პროტესტი იმის გამო, რომ მათ გისოსებს მიღმა უხდებათ სასამართლო სხდომებში მონაწილეობა. "მოვითხოვთ სასამართლო ჩატარდეს ღია წესით, გისოსების გარეშე, ვინაიდან დამნაშავე ბანდებთან არავითარი საქმე არ გვქონია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა თქვენი კითხვა დარჩება პასუხის გარეშე."

პროკურორმა სიკიაშვილმა უსაფუძვლობის გამო მხარი არ დაუჭირა განსასჯელთა შუამდგომლობას და, როგორც მოსალოდნელი იყო, სასამართლო კოლეგია მას დაეთანხმა. ის იყო მოსამართლე უნდა შესდგომოდა საბრალდებო დასკვნის კითხვას, რომ განსასჯელებმა ზურგი აქციეს სასამართლოს შემადგენლობას და განაცხადეს, რომ მონაწილეობას არ მიიღებენ სასამართლო განხილვაში, სანამ არ გადაიყვანენ სხვა დარბაზში. მათ რეაგირების გარეშე დატოვეს მოსამართლის მკაცრი გაფრთხილებაც და ბოლოს ჯ. ლეონიძე იძულებული გახდა მიეცა პირობა, რომ შემდეგი სხდომისთვის იზრუნებდა ამ საკითხის მოგვარებაზე.

სხდომა მაინც გადაიდო, ვინაიდან ბოლო მომენტში ბადრი ზარანდიამ და გურგენ ალანიამ სურვილი გამოთქვეს გასცნობოდნენ საქმის მასალებს თავიანთ დამცველებთან ერთად. "მე არ ვცნობ ამ ბრალდების კანონიერებას, მაგრამ მინდა ჩემს შვილიშვილებს დავუტოვო ამ ყალბი საქმის დოკუმენტი." - განაცხადა ზარანდიამ.

სხდომის ბოლოს მოულოდნელად წარმოიშვა კონფლიქტი დაზარალებულ ქვანიასა და განსასჯელთა ახლობლებს შორის, როგორც ჩანს, ამ საქმის სასამართლო პროცესზე ისეთივე მძიმე ფსიქოლოგიური ატმოსფერო შეიქმნება, როგორც უკვე დაწყებულ ლოთი ქობალიასა და სხვათა საქმის განხილვაზე. საინტერესოა, დაზარალებულები ამჯერადაც დარბაზის სრულუფლებიანი გამგებლები იქნებიან, თუ ალადაშვილისგან განსხვავებით, მოსამართლე ლეონიძე შეძლებს დაამყაროს წესრიგი?

*მ.ტუსიშვილი*

---

# ტექნიკური უნივერსიტეტის საზოგადოების განცხადება

1993 წლის 15 აპრილს შეიქმნა ტექნიკური უნივერსიტეტის საზოგადოება, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო გამოეხატა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა, მეცნიერ მუშაკთა, დამხმარე პერსონალისა და სტუდენტთა დამოკიდებულება ადამიანთა უფლებების მასობრივი დარღვევების, რეპრესიების, სასწავლო პროცესის მოშლისა და სხვა მრავალი, უაღრესად ნეგატიური მოვლენებისადმი, რაც ფაქტობრივი ხელისუფლების ანტიეროვნული პოლიტიკის შედეგი იყო. საზოგადოების წესდების ერთ - ერთი მუხლი იუწყებოდა: "საზოგადოება იზიარებს საქართველოს ეროვნული ხსნის მოძრაობა-წინააღმდეგობის ფრონტის მემორანდუმს."

საზოგადოება "წინააღმდეგობის ფრონტის" შეკრებებზე რეგულარულად აგზავნიდა ორ-ორ კაცს სათანადო ინფორმაციის მისაღებად. მათთან ხანგრძლივმა კონტაქტმა დაგვარწმუნა ზ. გამსახურდიას სიტყვების ჭეშმარიტებაში: "ჩვენ მაღალი იდეალებისათვის ვერ ვიბრძოლებთ ასეთი დაბალი სულისკვეთებით". ეროვნულ ფრონტში არ იგრძნობოდა ერთსულოვნება, რწმენა, არ იყო სიყვარული და შენდობა.

1993 წლის ერთ-ერთ მიტინგზე, ვაკის პარკში თ. კიკაჩეიშვილმა თქვა: "ჩვენ უნდა მოვახდინოთ ძალების კონცენტრაცია, უნდა მოვიკრიბოთ ხალხი, ჯგუფები, ორგანიზაციები, პარტიები, გავაერთიანოთ ისინი ერთიანი ძალისხმევით." სამწუხაროდ, ამ შესანიშნავი საპროგრამო ფრაზის რეალიზაცია იმაში გამოიხატა, რომ სისტემატურად ტარდება "წმენდა", კრიტიკული აზრის უგულებელყოფა, ურთიერთობაში გაბატონებულია არაკოლეგიალობა და ლანძღვა-გინება. მაგალითად, 1994 წლის ბოლოს, მრგვალი მაგიდის სხდომის წინადღეს, შეკრებაზე ვიცე-სპიკერმა განაცხადა: "ხვალ გავიყვანთ მრგვალი მაგიდიდან..." (ჩამონათვალში დაასახელა უზენაესი საბჭოს დეპუტატებიც). "ამ ჯგუფს მთლიანად დავითხოვთ... დარჩება ის, ვინც ჩემს არჩეულ გზას გაჰყვება" და ა.შ. ჩვენი წარმომადგენლების - პროფ. ნ. ულრელიძისა და დოც. ლ. კიკვაძის შენიშვნა, რომ ასეთი ქმედებანი გამოიწვევს ეროვნული პარტიებისა და ორგანიზაციების დაყოფა-გათიშვას, გააძლიერებს დაპირისპირებას თვით უზენაესი საბჭოს დეპუტატებს შორის, იგნორირებულ იქნა. ამრიგად, კანონიერი ხელისუფლების აღდგენას "ფრონტი" იწყებდა მათი წარმომადგენლების (რომელთა ეროვნული იდეისადმი ერთგულებაში ეჭვის შეტანა მკრეხელობად მიგვაჩნია) თავისი რიგებიდან გარიცხვითა და განქიქებით, აგრეთვე, იმ პარტიებისა და ორგანიზაციების დახლეჩით, რომლებიც ჭეშმარიტი ეროვნული მოძრაობის მთავარ საყრდენს წარმოადგენენ(ჰელსინკის კავშირი, წმინდა ილია მართლისა და სხვა პოლიტიკური პარტიები).

დღეს, როდესაც ქართველი ერი ფიზიკურად ნადგურდება, ერის სულიერი სფერო - მეცნიერება, განათლება, ზნეობა, კულტურა, რელიგია სულს ლაფავს, გადაგვარჩენს მხოლოდ კონსოლიდაცია, რასაც წინააღმდეგობის ფრონტის პოზიცია აშკარად ეწინააღმდეგება. ჩვენი საზოგადოების წევრებს მიაჩნიათ, რომ ტექნიკური უნივერსიტეტის საზოგადოება უნდა იყოს ავტონომიური, ის არ საჭიროებს "ფრონტის" სკოლას.

1995 წლის დეკემბერში შედგა ტექნიკური უნივერსიტეტის საზოგადოების კონფერენცია. ერთ-ერთ საკითხად გატანილ იქნა "ეროვნული ხსნის მოძრაობა - წინააღმდეგობის ფრონტთან" ურთიერთობის საკითხი. სათანადო განსჯის შემდეგ ჩატარებული კენჭისყრის საფუძველზე, დიდი უმრავლესობის გადაწყვეტილებით- (მხოლოდ 5 წინააღმდეგი), ტექნიკური უნივერსიტეტის საზოგადოება გამოვიდა "ფრონტის" შემადგენლობიდან. ამ გადაწყვეტილებით უკმაყოფილო მცირე ჯგუფმა კონფერენცია დატოვა, რის შემდეგაც მუშაობა გაგრძელდა და არჩეულ იქნა მუშა ჯგუფი. წესდებაში შეტანილ იქნა ცვლილებები. ამიტომ, №2-96 "აღდგომაში" მავანთა მიერ გამოქვეყნებული განცხადება, თითქოს ტექნიკური უნივერსიტეტის საზოგადოება, თავისი პროგრამისა და წესდების შესაბამისად, აგრძელებს "ეროვნული ხსნის მოძრაობა - წინააღმდეგობის ფრონტთან" თანამშრომლობას, წმინდა წყლის ფიქციაა და საზოგადოებრიობის დეზინფორმაციისთვისაა გამიზნული. ამ ხალხს ისევ უნდა შევახსენოთ ზვიად გამსახურდიას სიტყვები: **"რა შობს მოყვასისათვის თავგანწირვას? სიყვარული, ყოვლისმომცველი სიყვარული ადამიანებისადმი. რა შობს თავისუფლებას? იგივე სიყვარული, ოღონდ სიყვარული უზენაესი ჭეშმარიტებისადმი."** სამწუხაროდ, არათუ მოყვასისადმი სიყვარულს, მისდამი უბრალო პატივისცემასაც კი, ჩვენს ოპონენტებში ვერ ვხედავთ, ხოლო ჭეშმარიტებისადმი მათ დამოკიდებულებაზე აშკარად ღაღადებს წინამდებარე განცხადება.

*ტექნიკური უნივერსიტეტის საზოგადოების მუშა ჯგუფი*

## ადვოკატ თემურ ბოქსაძის დაცვითი სიტყვა

ბატონო პროკურორო, პატივცემულო საზოგადოებავ, ნება მომეცით, მოგახსენოთ ჩემი პოზიცია ბატონ ზაურ ქობალიას მოცემულ საქმესთან დაკავშირებით, უმთავრესად, როგორც დამცველის და შემდგომ, როგორც ქართველი ადამიანის. დამეთანხმებით, რომ მდგომარეობა საკმაოდ რთული და საპასუხისმგებლოა. ვგულისხმობ ბრალდების სიმძიმესა და, მეორე მხრივ, იმას, რომ მოცემულ საქმეს გააჩნია პოლიტიკური, ფსიქოლოგიური დატვირთვა და ასეთი ტიპის საქმეების ბედი, ფაქტიურად, წინასწარ არის გადაწყვეტილი.

ამდენად, ჩემი პასუხისმგებლობა კიდევ უფრო იზრდება. და არა იმდენად დღევანდელი დღის გადასახედიდან, რამდენადაც ხვალინდელი დღის პოზიციიდან. სწორედ ეს უკანასკნელი განაპირობებდა და განაპირობებს ჩემს ნებას აქტიური მონაწილეობა მივიღო პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასა და მისი ხელისუფლების სხვა წარმომადგენელთა მიმართ წარმოებულ საქმეებში.

* * *

# მე უფალმა მომისაჯა სამშობლოს თავისუფლებისთვის ბრძოლა

მინდა კიდევ ერთხელ განვაცხადო ის, რაც არაერთხელ განმიცხადებია სასამართლო გამოძიების დასაწყისშიც და შემდეგაც: არც წინასწარ გამოძიებას და არც სასამართლო გამოძიებას არ მოუპოვებია უშუალო მტკიცებები იმისა, რომ ბ-ნ ზაურ ქობალიას ჩადენილი ჰქონდეს ქმედებები, რომლის დაკვალიფიცირება შესაძლებელია სამშობლოს ღალატისა და ბანდიტიზმის მუხლით.

საქმეში არსებული მტკიცებულებები არც ერთი სახის სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში არ ამხელენ ბ-ნ ზაურ ქობალიას; არ ადასტურებენ რაიმე დანაშაულებრივ ფაქტს, რომელშიც მას უშუალოდ მიეღოს მონაწილეობა და რომელიც შეიცავდეს სამშობლოს ღალატისა და ბანდიტიზმის ქმედების ნიშნებს; წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოს არ დაუკითხია ისეთი მოწმე, რომელსაც უშუალოდ ზაურ ქობალიასთვის დაედოს ხელი ამგვარ დანაშაულთა ჩადენაში.

არიან მოწმეები, რომლებიც ადასტურებენ, რომ ზაურ ქობალიას მიმართავდნენ ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებით. როგორც უზენაესი საბჭოს დეპუტატი და პრეზიდიუმის წევრი, იგი მონაწილეობას იღებდა ამა თუ იმ შეხვედრებში, მოლაპარაკებებში. ეს ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ იგი თავის უფლებამოსილებას, თავის მოვალეობას ასრულებდა და ცდილობდა საქართველოში ძალით თავსმოხვეული, შეიარაღებული გადატრიალების შემდგომი პროცესები როგორმე ჩაესვა ნორმალურ, ცივილიზებულ კალაპოტში და გადაეწყვიტა მოლაპარაკების გზით, სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ბ-ნმა ზაურ ქობალიამ განაცხადა: “მე სამშობლოს თავისუფლებისა და კეთილდღეობისთვის ბრძოლა მომისაჯა უფალმა და სად მოვიხდი ამ სასჯელს - ციხეში თუ მის გარეთ, ათი თუ თხუთმეტი წლით - ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვსო“.

მინდა სასამართლო კოლეგიას შევახსენო, რომ ბ-ნი ზაურ ქობალია ჯერ კიდევ 70-იან წლებში გაასამართლეს ანტისაბჭოთა მოღვაწეობისთვის, იმ ორგანიზაციაში მონაწილეობისთვის, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული სამშობლოს განთავისუფლება. მაშინ სწორედ სამშობლოს სიყვარულის გამო მოხდა მისი დასჯა. ხომ არ ჰგავს ის პერიოდი დღევანდელ პერიოდს, დღევანდელ სიტუაციას?! დღესაც სამშობლოს სიყვარულის გამო ხომ არ ზის იგი საბრალდებო სკამზე?! მინდა აქ მოვიშველიო ბ-ნ კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვები:

**“ყოველი დროის ცილისმწამებლებს კარგად სცოდნიათ, რომ ადამიანის უსასტიკესი დასჯა მხოლოდ მაშინ ხდება, როცა მას სწორედ იმაში სდებენ ბრალს, რის წინააღმდეგაც თვითონ იბრძვის მთელი ცხოვრება.“**

* * *

საბრალდებო დასკვნით, ბ-ნ ზაურ ქობალიას ბრალი ედება იმაში, რომ მან მოაწყო შეთქმულება სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისა და ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით. ბ-ნი ზაურ ქობალია გახლავთ 1990 წლის 28 ოქტომბერს სრულიად საქართველოში საყოველთაო დემოკრატიული წესით არჩეული უზენაესი საბჭოს დეპუტატი, ადამიანის უფლებათა დაცვის მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე, სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი მმართველი ორგანოს - პრეზიდიუმის წევრი. ამდენად, მას ხელისუფლების დეფიციტი არ გააჩნდა. ის თვითონ გახლდათ ხელისუფლება, მისი წარმომადგენელი და სრულიად არ ესაჭიროებოდა რაიმე სახის შეთქმულების მოწყობა ხელისუფლების ხელში ჩაგდების მიზნით. ამ დისპოზიციას თუ მოვიშველიებთ, ნათლად დავინახავთ, რომ დეკემბერ-იანვრის მოვლენები ზუსტად და აბსოლუტურად ჯდება იმ ჩარჩოებში, რომელსაც ახლა ბრალად სდებენ ბ-ნ ზაურ ქობალიას, იმ ფორმულირებაში, რასაც ჰქვია შეთქმულება ხელისუფლების დამხობისა და ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით. მეტიც, ამგვარი შეთქმულების, დანაშაულის შედეგი უკვე სახეზეა: მცდელობა გადაიზარდა რეალურ ქმედებაში, მოხდა ხელისუფლების დამხობა და ძალაუფლების ხელში ჩაგდება. ვერ ვიწამებ იმის სიმართლესა და კანონიერებას, რომელი მხარეც არ უნდა იყოს, ვინც ერთსა და იმავე მოვლენას სხვადასხვა კონტექსტში აფასებს, მით უმეტეს, თუ ამას აკეთებს სახელმწიფო ორგანო. არ შეიძლება, დეკემბერ-იანვარს დაარქვა უბრალო “კონფლიქტი ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის“, და ამის შემდგომ განხორციელებული მოვლენები სამშობლოს ღალატად და შეთქმულებად მონათლო. სახელმწიფო ბრალმდებელი თავად ბრძანებდა, რომ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის კონფლიქტის შედეგად, ქვეყანაში შეიქმნა ხელისუფლების ვაკუუმი და ამის შემდგომ საქართველოში, ფაქტობრივად, არ არსებობდა კონსტიტუციური ხელისუფლება. აქედან გამომდინარე, დღის წესრიგში დგებოდა ხელისუფლების ლეგიტიმურობის პროცედურასთან დაკავშირებული საკითხი. ამავე დროს, ყოველივე ის, რაც მოჰყვა საქართველოში ამ პროცესს, საბრალდებო დასკვნის მიხედვით, მიჩნეულია ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად. კონტრარგუმენტად მინდა მოვიყვანო საერთაშორისო სამართლის ნორმაზე დამყარებული, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა კოპენჰაგენის თათბირის დასკვნითი დოკუმენტის მეექვსე მუხლი (ამ დოკუმენტებს საქართველოც შეუერთდა). აქ პირდაპირ ვკითხულობთ:

**“ყოველი დროის ცილისმწამებლებს კარგად სცოდნიათ, რომ ადამიანის უსასტიკესი დასჯა მხოლოდ მაშინ ხდება, როცა მას სწორედ იმაში სდებენ ბრალს, რის წინააღმდეგაც თვითონ იბრძვის მთელი ცხოვრება.“**

“მონაწილე სახელმწიფოები აცხადებენ, რომ ხალხის ნება, რაც გამოიხატება თავისუფლად და პატიოსნად, პერიოდული და ნამდვილი არჩევნების დროს, წარმოადგენს ყოველი მთავრობის, ხელისუფლების კანონიერების საფუძველს. ისინი აღიარებენ თავიანთ პასუხისმგებლობას საერთაშორისო სამართლის მიხედვით ადამიანის უფლებების დარგში და თავიანთი საერთაშორისო ვალდებულებებით პატივს სცემენ ხალხის ნებით არჩეულ დემოკრატიულ წესს და იცავენ მათ იმ ცალკეული პირების, ჯგუფების, ორგანიზაციების საქმიანობისაგან, რაც მიზნად ისახავს ამ წესრიგის დამხობას, ან ასეთი წესრიგის დამყარებას სხვა სახელმწიფოში“. ეს მუხლი საქართველოს მიმართ დაირღვა და ის შედეგი, რაც ჩვენს სამშობლოს დაატყდა თავს, გარკვეულწილად, ამ ფაქტორმაც განაპირობა. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბრალდება სამშობლოს ღალატისა, რაც გამოიხატება ხელისუფლების დამხობისა და ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით შეთქმულების მოწყობაში, უკანონოდ მიმაჩნია.

* * *

შემდგომი ნაწილი ამ ბრალდებაში ჩამოყალიბებული დისპოზიციისა გახლავთ ის, რომ ბ-ნ ზაურ ქობალიას მოქმედებიდან გამომდინარე, საქმე გვქონია სახელმწიფოს სუვერენიტეტის შელახვასთან. პირადად ბ-ნ ზაურ ქობალიას ქმედებაში, მთელი მისი ცხოვრებიდან გამომდინარე, ვერავინ მოიძიებს დასტურს იმისა, რომ მას ჰქონდა განზრახული საქართველოს სუვერენიტეტის ხელყოფა. ხოლო ქმედება, რომელშიც მას უშუალო მონაწილეობა აქვს მიღებული, ქმედება იმ ხელისუფლებისა, რომლის მაღალ ეშელონებსაც იგი წარმოადგენდა, ამგვარად ისახება: მე მხოლოდ შეგახსენებთ 1991 წლის 31 მარტის საყოველთაო რეფერენდუმს, სადაც ქართველმა ხალხმა გამოხატა თავისი შეუვალი ნება - რომ მას სურს თავისუფლება; 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტს. და თუ ჩვენ დღეს ვლაპარაკობთ საქართველოს დამოუკიდებლობაზე, მის გაერო-ში გაწევრიანებაზე, ეს ყველაფერი არ მოხდებოდა დამოუკიდებლობის აქტის გარეშე, რომელიც, ამ თვალსაზრისით, მთავარი დოკუმენტი გახლავთ. ამის დასტურია თუნდაც ბოლო დროს მიღებული კონსტიტუცია, რომელიც უშუალოდ მიუთითებს ამ აქტზე.

მე ვსვამ კითხვას: საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, რეფერენდუმის ჩატარება შეიძლება ჩავთვალოთ სუვერენიტეტის შელახვად? მეორე მხრივ, გვინდა თუ არ გვინდა, საბრალდებო დასკვნა გვაიძულებს დავაყენოთ სხვა საკითხი: მიუხედავად იმისა, თუ რა პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარეობდა ეს გადაწყვეტილებები, თუნდაც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შესვლა, ქვეყნის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის ჯარი, როგორი პრინციპითაც არ უნდა იყოს განლაგებული, - ყველაფერი ეს თავისთავად რამდენადმე მაინც (ამ სიტყვას შეგნებულად ვამბობ) ზღუდავს სახელმწიფო სუვერენიტეტს.

* * *

შემდეგი საკითხი, რომელიც გამომდინარეობს სამშობლოს ღალატის მუხლიდან, გახლავთ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა, თავდაცვისუნარიანობის შესუსტება. საბრალდებო დასკვნის მიხედვით, პრეზიდენტ გამსახურდიასა და მის მომხრეებს, და აქედან გამომდინარე, ზაურ ქობალიას, ჰბრალდება დამარცხება სოხუმსა და, საერთოდ, აფხაზეთში. სასამართლო გამოძიებისას ამგვარი ფაქტი არ დადასტურებულა. საბრალდებო დასკვნის მიხედვით და სახელმწიფო ბრალმდებლის პოზიციიდან გამომდინარე, ამ და სხვა საქმეებს უშუალო კავშირი აქვს ბ-ნ ზვიად გამსახურდიასთან, ამდენად, ყველაზე მთავარი, ალბათ, გახლავთ მისი პოზიცია ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით.

ვფიქრობ, ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის ფაქტი, რომ აფხაზეთში დამარცხების მთავარი მიზეზი ძევს იმ უმთავრეს ფაქტორში, რომ გაუქმდა საქართველოს მოქმედი კონსტიტუცია, რომელშიც ეწერა -“აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა არის საქართველოს ნაწილი“. ამასთან დაკავშირებით, მინდა გაგაცნოთ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის 1992 წლის 14 მაისის მიმართვა:

“მოგმართავთ, როგორც ქართველებს, ისე აფხაზებს, ვინაიდან საფრთხეშია ჩვენი საუკუნოვანი ძმობა. იმპერიული ძალები ცდილობენ გააღვივონ ეთნოკონფლიქტი. საქართველოს კონსტიტუცია, რომელშიც ჩაწერილია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, როგორც საქართველოს შემადგენელი ნაწილი, გაუქმებულია, რამაც საბაბი მისცა აფხაზეთის უზენაეს საბჭოს გაეძლიერებინა სეპარატისტული კურსი. მის მიერ ანტიკონსტიტუციური აქტების მიღება უპასუხისმგებლო ქმედებაა, რამაც შეიძლება ეთნოკონფლიქტებამდე მიგვიყვანოს, რაც აწყობს როგორც თბილისის ხელისუფლებას, ასევე იმპერიას. მე მოვუწოდებ აფხაზ მოსახლეობას იმოქმედოს პარლამენტზე, რათა მან შეწყვიტოს ანტიქართული პოლიტიკა. წინააღმდეგ შემთხვევაში, აფხაზეთში გარდუვალი იქნება სისხლისღვრა.“

შემდგომ ამისა, მოდის პრეზიდენტის 21 აგვისტოს ბრძანება უშუალოდ არძინბასადმი, სადაც იგი მოითხოვს:

“(...) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლება შეცდომას შეცდომაზე უშვებს, ხელოვნურად ამწვავებს ვითარებას. მან დაუშვა საბედისწერო შეცდომა, აღადგინა 1925 წლის კონსტიტუცია, რითაც, ფაქტიურად, აფხაზეთი საქართველოდან გამოყოფილად გამოაცხადა“. (...)აფხაზეთში მშვიდობისა და სტაბილურობის აღდგენისათვის, ქართველი და აფხაზი ხალხის გენოციდისგან გადასარჩენად, გთავაზობთ და მოგიწოდებთ, დაუყოვნებლივ მოიწვიოთ პარლამენტის სესია და გააუქმოთ გადაწყვეტილება 1925 წლის კონსტიტუციის გაუქმების შესახებ, აღადგინოთ ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი და 1978 წლის კონსტიტუცია.(...) აღნიშნული ჩემი ბრძანებით გავაუქმე ეს ანტიკონსტიტუციური აქტი“.

მას შემდეგ, რაც ხელმოწერილი იქნა სამმხრივი ხელშეკრულება, დადგა საკითხი, რომ მთავარი პლაცდარმი გადმოტანილიყო ტყვარჩელში, ვინაიდან, ხელშეკრულების მიხედვით, სოხუმში დათმობილ იქნა ძირითადი სტრატეგიული წერტილები. ამ დროს მან ასეთი მიმართვა გაუგზავნა აფხაზეთში მებრძოლ ოჩამჩირისა და გალის რეიონების მეომრებს:

“ჩემი პოზიცია ასეთია: ტყვარჩელი აუცილებლად უნდა იქნეს აღებული, რათა ოჩამჩირეც, კოდორიც არ დავკარგოთ და სოხუმი ალყაში არ აღმოჩნდეს“.

1993 წლის 20 ივლისის მიმართვიდან:

“საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლება ბუნდოვნად საუბრობს კონფლიქტის ზონიდან ყველა ჯარის გაყვანაზე, რაც არარეალურია და შესაძლოა გამოყენებული იქნეს მტრის მიერ გადამწყვეტი სტრატეგიული უპირატესობის მოპოვებისთვის. ჯერ კიდევ ელცინ - შევარდნაძის შეხვედრისას დაიგეგმა სოხუმიდან მძიმე ტექნიკისა და არტილერიის გაყვანა, რაც ნიშნავს სოხუმის ჩაბარებას. სოხუმიდან ქართული ჯარის [illegible] ქართული მოსახლეობის [illegible] ნაიდან შეიარაღებული [illegible] 93 პროცენტს ადგილობრივი მოსახლეობა შეადგენს, რასაც მოჰყვება სოხუმის ჩაბარება, სოხუმის ჩაბარებას კი მთელი აფხაზეთის ჩაბარება მოჰყვება, ხოლო ყოველივე ამას - ქართული მოსახლეობის არნახული გენოციდი და დეპორტაცია.

მე მოვუწოდებ აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებულ ყველა მებრძოლსა და მეთაურს, სრულიად საქართველოს მოსახლეობას, არ დათმოთ აფხაზეთის ძირძველი ქართული მიწის არც ერთი გოჯი, არ ჩააბაროთ მტერს უკვე მოპოვებული პოზიციები. აღადგინეთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, გახსოვდეთ, საქართველოს საზღვარი მდინარე ფსოუზე გადის.“

საბრალდებო დასკვნის მიხედვით, უშუალოდ ვახტანგ (ლოთი) ქობალიას, ეროვნული გვარდიის მოქმედებებს თუ უმოქმედობას ჰბრალდება, რომ იგი არ მიეხმარა სოხუმს. აღნიშნული ბრალდება, ვფიქრობ, უსუსურია და მე ვეხები მას იმდენად, რამდენადაც ეს ყველაფერი შემდგომ ჰბრალდება ბ-ნ ზაურ ქობალიას.

ცნობილი ფაქტია, რომ 16 სექტემბრის შემდეგ აფხაზებმა დაარღვიეს ხელშეკრულება და განაახლეს შეტევა სოხუმზე, ოჩამჩირის რაიონიდან მოულოდნელი დარტყმით გადაკეტეს კოდორის შესართავი, სოფელი ახალდაბა, აძიუბჟა და მთელი ტექნიკით იქ გამაგრდნენ, სოხუმი მოწყვიტეს და ის ალყა, რომელზედაც თავის მიმართვაში ბრძანებდა ბ-ნი ზვიად გამსახურდია, სამწუხაროდ, გამართლდა.

არ შეიძლება ლოთი ქობალიას ბრალი დავდოთ იმაში, რომ იგი არ მიეხმარა სოხუმს, თუნდაც იმიტომ, რომ ამ მოსადგომებთან ოჩამჩირეში მისი შენაერთები იბრძოდა სამთავრობო ჯართან, იგივე ჭუმბურიძესთან ერთად, რომელმაც, სხვათა შორის, აქ დაადასტურა ეს ფაქტი. და თუ დახმარებაზე მიდგა საქმე, რატომ არ დაეხმარა სოხუმს ოჩამჩირეში განლაგებული სამთავრობო ჯარები, თუკი ეს შესაძლებელი იყო? რაც შეეხება სიმბოლურ დახმარებას, ცნობილი და დადასტურებულია, რომ ეროვნული გვარდიის რამდენიმე ათეული ჯარისკაცი 17 სექტემბერს ფოთიდან იქნა გადასროლილი სოხუმში.

ამას გარდა, საქმის მასალებიდან დადგენილია, რომ 1993 წლის ივლისის დასაწყისში, პირველი დესანტის გადმოსხმისას, ტამიშთან მიმდინარე ბრძოლებში, ლოთი ქობალიას შენაერთებს ლომის წილი მიუძღვით.

მე პირად საუბარში ვკითხე ოჩამჩირე-გალის ფრონტზე მოქმედ მთავარ ფიგურას, სარდლობის წარმომადგენელს - სოხუმის დაცემის შემდეგ ხომ იყო გალისა და ოჩამჩირის შენარჩუნების საშუალება, მაშ რატომ იქნა დატოვებული იქაურობა? მან მიპასუხა: თურმე, ვინმე ცატავას, გალის გამგებლის ბრძანებით მოხდა გალის დატოვება. ვფიქრობ, არათუ გენერალი, უბრალო ჯარისკაციც არ გააკეთებს ამგვარ უპასუხისმგებლო განცხადებას. ამის შემდეგ კიდევ გვიკვირს, რატომ ვართ ამ დღეში და რატომ დაიკარგა აფხაზეთი.

**უზენაესი სასამართლო**
**20 თებერვალი, 1996 წელი**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# საქართველოს ისტორია პროკურატურაში არ იწერება

## ადვოკატის დაცვითი სიტყვის შემდეგ ბ-ნმა ზაურ ქობალიამ ითხოვა ორიოდ წუთი საბოლოო სიტყვისთვის და მიმართა პროკურორს

უპირველსად, მინდა გითხრათ, რომ ყველა ის შეურაცხყოფა, რაც აქ გაისმა საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მიმართ, არანაირ ჩირქს არ სცხებს მას ქართველი ერისა და მომავლის წინაშე. პირიქით კი იქნება.

მეორე: აქ ითქვა, რომ მე მთავარი იდეოლოგი ვყოფილვარ ყველა ამ საქმის. ჩემი ერთადერთი იდეოლოგიაა ქრისტიანობა და თუ თქვენ მის იდეოლოგად მთვლით, ეს ჩემთვის უდიდესი პატივია.

დაბოლოს, გარწმუნებთ, საქართველოს ისტორია პროკურატურაში არ იწერება და ვერავითარი გაყალბება ვერ მიჩქმალავს ჭეშმარიტებას. საბოლოოდ იგი მაინც გაცხადდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავი პირველი
# კავკასია - «ენების მთა»

კავკასიის დაპყრობისას რუსებს არასოდეს დაუმალიათ კოლონიზატორული მიზნები. რამდენადაც მძაფრ წინააღმდეგობას ხვდებოდნენ ადგილობრივი მოსახლეობისაგან, იმდენად მკაცრად ექცეოდნენ მათ. სავარაუდო იყო, რომ ამ შემთხვევაშიც სისასტიკეს გამოიჩენდნენ.

ჯერ კიდევ მე-19-ე საუკუნის დასაწყისში ახალგაზრდა რჩეულმა ოფიცერმა - პესტელმა, რომელიც შემდგომში საკმაოდ ცნობილი გახდა როგორც ჩამოხრჩობილი დეკაბრისტი, თავის თანამოაზრე მეგობართა წრისთვის დაამუშავა კონცეფცია - როგორ მოპყრობოდნენ კავკასიის მთიელ ტომებს. ის ხალხებს ყოფდა მორჩილებად და ურჩებად. მისი აზრით, დაუმორჩილებლები უნდა გადაესახლებინათ ან ფიზიკურად გაენადგურებინათ, ხოლო თვინიერები და ასევე კავკასიაში დატოვებული დასჯილები - დაეჯილდოებინათ.

შამილის დაცემის შემდეგ რუსი ხელისუფლები ზუსტად პესტელის რჩევის მიხედვით მოქმედებდნენ. ათიათასობით ჩერქეზი, აფხაზი და უბიხი თურქეთში გადაასახლეს. თურქები დაარწმუნეს, რომ მუჰაჯირებმა (ემიგრანტთა არაბული სახელწოდება) -როგორც მუსლიმანებმა, ერთმორწმუნე ქვეყანაში არჩიეს ცხოვრება.

ამ მოვლენებს მთელი სიმართლით აღწერდა ალექსანდრე ყაზბეგი თავის დიდტანიან მოთხრობაში "ელისო", რომელიც მე-19-ე საუკუნის 80-იან წლებში გამოქვეყნდა ქართულ ენაზე.

ანალოგიური, თუმცა ამჯერად გიგანტური, იძულებითი გადასახლება განახორციელა სტალინმა 1944 წელს. დაახლოებით 400 000 ჩაჩანი და ინგუში ყაზახეთის გზას გაუყენეს. არსებობდა გარკვეული საბაბი. თუმცა, უნდა ითქვას, რომ არა მარტო დეპორტირებულები შეხვდნენ გულღიად კავშირში მარშირებულ გერმანელ ჯარისკაცებს.ეს იყო მთელი აღმოსავლეთის განწყობილება, რადგან მათ კომუნიზმის უღლიდან განთავისუფლებად აღიქვამდნენ, სანამ დარწმუნდებოდნენ, რომ ვერმახტის უკან არაგერმანული სულისკვეთება იმალებოდა.

გერმანელებისადმი კეთილგანწყობა საფუძვლად დაედო კავკასიელთა იძულებით გადასახლებას. მათგან მხოლოდ ნახევარმა მიაღწია დანიშნულების ადგილამდე. დანარჩენებმა მგზავრობას ვერ გაუძლეს.

(ამ ხალხის სუბსტანციაზე ასეთი თავდასხმის მიუხედავად, მაინც ვერ შეძლეს მათი სულიერი გატეხვა. თავად დეპორტირებული ალექსანდრე სოლჟენიცინი, რომელიც კავკასიის ხალხებს ყაზახეთში შეხვდა, აცხადებდა: "აქ არის ერი, რომლისთვისაც დამორჩილების ფსიქოლოგია სრულიად შეუთავსებელია. არც ერთი ჩაჩანი არ ცდილობს უფროსებს მოაწონოს თავი. ისინი ყოველთვის ავლენენ სიამაყეს და აშკარა მტრულ დამოკიდებულებას..")

მათი გადასახლების შემდეგ, ჩაჩნეთ - ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკა დაიშალა, ხოლო განთავისუფლებული ტერიტორია მეზობლებზე გადანაწილდა. აქ დაასახლეს ქართველები და დაღესტნელები. სტალინის გარდაცვალების შემდეგ,დაშლილი რესპუბლიკა კვლავ აღდგა. დეპორტირებულებმა დაიწყეს უკან დაბრუნება. კავკასიელმა მოძმე ხალხმა საოცარი თანაგრძნობა გამოავლინა მათ მიმართ. ორგანიზება გაუკეთდა სამშობლოში მათ თანდათანობით (ეტაპობრივ) დაბრუნებას და ძველ კერაზე დასახლებას.

სამწუხაროდ,სხვაგვარად მოიქცნენ ოსები. ისინი წინ აღუდგნენ ინგუშებს, როცა მათ ყოფილ საცხოვრებელ ადგილზე სცადეს დასახლება. სწორედ იმდროინდელი მოვლენებით აიხსნება ვლადიკავკაზსა და მის მიდამოებში დღემდე გაგრძელებული დაძაბულობა, რაც 1992 წლის შემოდგომაზე სისხლიან შეტაკებაში გადაიზარდა.

კავკასიის მრავალფეროვნებას მხოლოდ საქართველოც კი განაპირობებს. აქ ქართულის გვერდით სამი საკმაოდ განსხვავებული ლექსიკური შემადგენლობის სიცოცხლისუნარიანი ენა ფუნქციონირებს: სვანური, მეგრული და წოვა-თუშური. ამ ენებზე მოლაპარაკე ხალხები, მართალია, სხვადასხვა განშტოებებს წარმოადგენენ, მაგრამ ყველა მათგანი თავს ქართველად თვლის. და როცა ერთხელ ერთ ნაციონალისტ-ბოლშევიკს აზრად მოუვიდა მეგრულ ენაზე გაზეთის გამოცემა, სულელად ჩათვალეს. მას სტალინმაც კი ფალსიფიკატორი უწოდა.

ამ ხალხთა ერთიანობის საფუძველს არ წარმოადგენდა ენა ან ფსიქიკის წყობა, არამედ ეს იყო ერთსულოვნება, რაც თამარის მეფობის ხანაში (1184-1213) ყველა ცალკეულ კონფესიაზე მაღლა იდგა.

გამუსლიმანებული ქართული ტომები, ისევე, როგორც აჭარლები და ლაზები, საქართველოს ერთობას აღიარებდნენ. არ შეიძლება ეს მხოლოდ იმ დროისთვის დამახასიათებელ მოვლენად მივიჩნიოთ. მე-19-ე და მე-20-ე საუკუნის ლაიცისტურ (ლიბერალურ-ანტიკლერიკალურ. მთარგმ.) მოძრაობაშიც კი მას შენარჩუნებული ჰქონდა სასიცოცხლო ნერვი. აკაკი წერეთელი (1839-1915) საქართველოს ერთობას სიმებიან საკრავს - ჩონგურს(მანდოლინას ერთ-ერთი სახეობა) ადარებდა:

ჩონგური საქართველოა,
სიმები ჩვენ ვართ ყველაო,
სხვადასხვა კუთხის მცხოვრები.
"ოდელა-დელა-დელაო!"
ერთი მათგანი რომ გაწყდეს,
მაშინვე უნდა შველაო,
რომ არ გაფუჭდეს ჩონგური.
"ოდელა-დელა-დელაო!"

ეს მუსიკა ჩრდილო კავკასიის ხალხთა სულის გამოძახილსაც წარმოადგენს.

ამავე აზრით არის შთაგონებული კონსტანტინე გამსახურდიას რომანი-ტრილოგია "მთვარის მოტაცება", რომელიც 30-იან წლებში შეიქმნა. მის ყველა სტრიქონში იგრძნობა დიდი ტკივილი ერთ დროს აყვავებული აზნაურული კულტურის დაცემის გამო, რომლის ქრისტიანულ იდეალებშიც აფხაზები და ქართველები ჰარმონიულად ცხოვრობდნენ.

უკვე ნათელია, რომ ეთნიკური კუთხეების შექმნა უაზრობას წარმოადგენს, რამეთუ ეთნიკური და რელიგიური საკითხები არასოდეს ქცეულა განხეთქილების მიზეზად. თუმცა სარწმუნოებრივ და ეროვნულ წარმომავლობას ხშირად საბაბად იყენებდნენ იმ შემთხვევებში, როცა წინა პლანზე იდგა პოლიტიკური თუ სამეურნეო ინტერესები და ადამიანთა ერთი ჯგუფი ძალაუფლების მოპოვებისთვის იბრძოდა; ან როცა რელიგიური საზოგადოებები თავიანთი ქმედების შენიღბვას ცდილობდნენ.

ალბათ, ნაკლებად ფიქრობენ ხოლმე ლესინგის სულზე, რომელიც "ნათანში" ადამიანთა გულებს ესაუბრებოდა.

კავკასიაში შექმნილი ყველა არეულობის ცენტრში იდგნენ ცალკეული პიროვნებები, რომლებიც ამაოდ ცდილობდნენ, ტრადიციული კულტურის ღირებულებების შესატყვისად, სოციალური ცხოვრების ახალი ფორმები ჩამოეყალიბებინათ. მათი მოქმედება, პირიქით, უკეთესად წარმოადგენდა ერთ ტერიტორიაზე განსხვავებული ეროვნებისა და აღმსარებლობის ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობის უნარს.

1991 წელს ეს იდეალი თითქმის განხორციელდა, რაც ორი ადამიანის: ზვიად გამსახურდიასა (1939-1993) და მერაბ კოსტავას (1939-1989) ღწვის შედეგი იყო.

***(გაგრძელება იქნება)***

---

წინა ნომერში გამოქვეყნებულ თარგმანში "ზვიად გამსახურდია დისიდენტი-პრეზიდენტი-მოწამე" I სვეტის III აბზაცი უნდა იკითხებოდეს:

... ეს იმით აიხსნება, რომ ისინი ოტომანთა ბატონობის პერიოდში გაამუსლიმანეს.

III სვეტის II აბზაცი უნდა იკითხებოდეს:

ჩრდილო კავკასიის ხალხთა სიმღერები ყოველთვის ერთხმიანი იყო. თუმცა მათი მეშვეობითაც შეიგნძნობთ განსაკუთრებულ, სიტყვითაუწერელ სულისკვეთებას და უშუალოდ განიცდით ფშვინვიერი ცხოვრების ბგერათა სამყაროს.

---

# TAVISUPALI SAKARTVELO
## (FREE GEORGIA)
## No6 (in brief)
## 27 February - 4 March 1996

## THE LORD ALMIGHTY SENTENCED ME TO FIGHT FOR THE FREEDOM AND PROSPERITY OF MY MOTHER LAND AND WHERE EXACTLY I SHALL SERVE MY TERM IS OF NO IMPORTANCE AT ALL

### Lawyer Temur Goksadze's Speech for Defense

*Supreme Court*
*February 20, 1996*

I [illegible] you will agree that there hardly can be found punishment more grave than blaming a person of high treason. And one can hardly find the punishment which would overweigh this accusation.

Neither preliminary nor the Court investigation were able to find out direct proofs confirming that Mr. Zaur Kobalia did commit actions which could be qualified as high treason and banditism. I believe the Court does not have any sound grounds to make a verdict of guilty. The proofs contained in the Case fail to expose Mr. Zaur Kobalia as a person who had committed any criminal actions; these proofs fail to confirm any criminal fact in which he had participated and which contains the signs of high treason and bandit actions; neither during the preliminary investigation nor during the Court hearing was interrogated a witness who could directly blame Zaur Kobalia in committing such actions.

We have heard some witnesses who confirmed that they did address to Zaur Kobalia with the problems concerning human rights; as the deputy of the Supreme Council and Member of the Presidium he participated in these or those meetings, negotiations. The stresses the fact that he was acting under his authority and fulfilling his duty sparing no efforts to direct the post coup processes in Georgia into the normal civilized course and solve the problems via negotiations to the welfare of his mother land.

Mr. Zaur Kobalia declared: "The Lord Almighty sentenced me to fight for the freedom and prosperity of my Mother Land and where exactly I shall serve my term - in the jail or out of it; for ten or fifteen years - is of no particular importance".

In accordance to the Indictment Mr. Zaur Kobalia is charged with high treason which was expressed by the fact that he and intentionally committed actions directed against the sovereignty of the Republic of Georgia, its territorial integrity or state security; namely he made a conspiracy with the aim of overthrowing of the state authorities and seizing power. I would like to remind the Court Board, that Mr. Zaur Kobalia was trailed as long as in seventies for anti-Soviet activities and participation in the organization the goal of which was liberation of Georgia, He was then punished exactly for his love of his mother land. Does not that period and that situation resemble the nowadays ones?

In accordance to the Indictment Mr. Zaur Kobalia is charged with committing conspiracy to overthrow the state authorities and seize power. It cannot be questioned that Mr. Zaur Kobalia is a deputy of the Supreme Council elected in 1990 as a result of all-Georgia democratic elections, the Chairman of Human Rights Commission, the member of the Presidium - the supreme administrative body of the state authorities. Hence he had never experience the deficiency of the power. He himself was representing the power and thus had no reasons to get into any conspiracy to seize the power.

From this viewpoint it becomes evident that December-January events in Georgia exactly and absolutely fit into the framework with which today is charged Mr. Zaur Kobalia, and comply with the formulation qualified as conspiracy against the authorities aimed at overthrow of the state authorities and seizing power. Moreover, we are already facing the result of such conspiracy and crime: the attempt grew into real actions, the state authorities were forcibly overthrown and the power was seized. It is impossible to qualify the December-January events simply as "a conflict between the authorities and opposition", and then describe the subsequently developed events as high treason and conspiracy.

The State Prosecutor himself stated that as a result of the conflict between the state authorities and opposition the power vacuum was created in the country and since then in Georgia actually did not exist the constitutional authorities. Proceeding from the above said, the issue related to the legality of the authorities was put on agenda of the day. At the same time, all that followed this process in Georgia according to the Indictment is considered as the crime directed against the state authorities. As a counter-argument I would like to cite Item Six of the Copenhagen Meeting Conclusive Document based on the norms of the International Law adopted by the participant countries of the Meeting of Security and Cooperation in Europe (Georgia also joined this document). The participating countries categorically expressed their position and as a matter of fact their subsequent reaction raises a question why the had not defended this Item in relation to Georgia. As for the state authorities, principle of legality of the Government, this document unequivocally reads" "The participating countries declare that the will of people expressed during the free, honest, regular and true elections is the basis of legality of any Government and state authorities. They recognize their responsibility in accordance with the International Law in the sphere of Human Rights and following their international obligations respect the democratic order elected by the will of people and defend them from the activities of those individual persons, groups of persons, organizations which aim at overthrow of this order or establishing this order in other country"

Proceeding from the above said, the charge of high treason expressed in getting into conspiracy to overthrow the authorities and seize power I consider as unlawful.

The next part of the disposition formulated in this charge concerns the fact that proceeding from the actions of Mr. Zaur Kobalia he is involved with impairment of the state sovereignty, while activities in which he directly participated, that is the activities of the authorities which he was representing include: all-Georgia Referendum of March 31, 1991, by which Georgian people expressed their will for freedom; the Act of Independence of April 9, 1991.

Now my question is: Can the declaration of independence of Georgia, and conduction of Referendum be considered as the violation of the sovereignty of the country? On the other hand, whether we want it or not, the Indictment impels us to raise another question: Irrespective of the political situation, does the very fact of joining to the Commonwealth of Independent States, presence of the Army of the foreign country whatever principle of its dislocation may be at least to some extent (I deliberately use these words) limit the state sovereignty? These two moment radically differ from one another, and this context is the most important argument in favor of the inconsistency of this accusation.

The next issue which follows from the High Treason Article is the violation of the integrity of the country, weakening it self-defense ability. In accordance to the Indictment, President Gamsakhurdia and his supporters, and thus Mr. Zaur Kobalia are blamed for the defeat in Sukhumi and in Abkhazia war in general. In the course of Court Investigation such fact was not confirmed. According to the Indictment and proceeding from the position of the State Prosecutor, this and other Cases are directly related to Mr. Zviad Gamsakhurdia, so probably of most importance is his position in relation to this or that issue. I am obliged to cite his Appeals as those of the President who should have most comprehensive information and clearly outlined position concerning the issues in question.

I believe that it goes without saying that the major cause of defeat in Abkhazia war is the fact that the acting Constitution of Georgia which read: "Autonomous Republic of Abkhazia is a part of Georgia" was annulled. In relation to this fact the Appeal of May 14, 1992 of the President of the Republic of Georgia says:"I appeal to you, Georgians and Abkhazians, since our many centuries friendship is endangered. The imperial forces are trying to unleash the ethnoconflict. Constitution of Georgia which names Autonomous Republic of Abkhazia as an integer part of Georgia is annulled which provided the grounds for the Supreme Council of Abkhazia to enhance the separatist course. Adoption of anti-constitutional Acts on the part of Supreme Council of Abkhazia is an irresponsible action, which can lead us to the ethnoconflict, which plays into the hands of both Tbilisi authorities and the Empire. I appeal to the Abkhazia population to make pressure to the Parliament to induce it to stop the anti-Georgian policy. Otherwise bloodshed in Abkhazia will be inevitable."In accordance with the Indictment activity or passivity of directly Vakhtang (Loti) Kobalia and National Guards are used to blame them in not providing help to Sukhumi. This accusation is groundless and I mention it only because all this is afterwards used to charge Mr. Zaur Kobalia. and therefore I am induced to express the disposition which I am reluctant to do since in the room next to us is proceeding the Court hearing of Loti Kobalia's case.

It is known that after September 16 the Abkhazian party violated the Agreement and renewed their attack on Sukhumi, having blocked the Kodori confluence, Akhaldaba village, Adzjuba by the unexpected attack and fortified their positions there. Sukhumi was torn off its home front and the siege forecast by Mr. Zviad Gamsakhurida in his Appeal unfortunately became true.

We cannot blame Loti Kobalia in not helping Sukhumi since his detachments were fighting in Ochamchire together with the State Army, under the leadership of Mr. Chumburidze who by the way confirmed this fact here. Speaking about help we would like to ask why the State Troops located in Ochamchire did not help Sukhumi if it was possible? As for the symbolic defeat it is known and confirmed that some tens of soldiers of the national Guards were thrown to Sukhumi from Poti. Besides, Mr. Prosecutor, we both are participants of the Court hearing of Mr. Valter Shurgaia and Mr. Gocha Otkhozoria. In both cases from the material of the case it was stated that in the beginning of July, 1993 when the first landing was made, in the battles proceeding nearby Tamish Loti Kobalia's detachments had the lion's share.In a personal conversation I asked the major commander figure at Ochamchire-Gali front why the troops left Gali and Ochamchire though they had all possibilities to keep them. He answered that Gali was left under the order of a certain Tsatava, head of administration of Gali. I think that even a simple soldier not to speak of General would have ever don such irresponsible statement. And after this we still wonder why we are in such a situation and why Abkhazia was lost .

At the same time, in the course of Court Investigation we all saw the videotape reflecting the period when President Zviad Gamsakhurida was at Ochamchire Front. We saw his position about the necessity to create the joint front to attack the enemy to defend Abkhazia.

*(to be continued)*

მთავარი რედაქტორი თამარ ებრალიძე
EDITOR IN CHIEF TAMAR EBRALIDZE
მოგვწერეთ მისამართზე: 380008, თბილისი 8, საბონენტო ყუთი №227
Address for correspondence: Box #227, 380008, Tbilisi 8, Georgia